ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

World Health Organization
European Region

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საინფორმაციო ფურცელი ჯანდაცვის მუშაკებისათვის

პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (13 ვალენტიანი)

პოლისაქარიდული კონიუგირებული, ადსორბირებული ვაქცინაა, ერთი დოზა (0.5 მლ) შეიცავს 2,2 მკგ 11, 3, 4, 5, 6A, 7F, 9V, 14, 18C, 19A, 19F , 23F და 4,4 მკგ 6B სეროტიპების პოლისაქარიდებს. ვაქცინა თხევადია და აცრის ჩატარების წინ აუცილებელია ფლაკონის შენჯღრევა ერთგვაროვანი შიგთავსის მიღებამდე.

ვაქცინაციის სქემა

აცრა ტარდება 2, 4, 12 თვის ასაკში, კურსი არის სამდოზიანი:

- პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალი არის 8 კვირა;
- მეორე და მესამე დოზებს შორის მინიმალური ინტერვალი არის 6 თვე;

არავაქცინირებული ჩვილები და ბავშვები – 7 თვე და უფროსი ასაკი:

- 7-11 თვის ასაკში ვაქცინაციის კურსი არის სამდოზიანი – ორი პირველადი აცრა კეთდება მინიმალური 4 კვირის ინტერვალით. მესამე აცრა უნდა გაკეთდეს სიცოცხლის მეორე წელს, მეორე აცრიდან მინიმალური 8 კვირის ინტერვალით;
- 12 თვე – 5 წლის ასაკში ვაქცინაციის კურსი არის ორდოზიანი. დოზებს შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალია 8 კვირა.

საინექციო დოზა

ერთი საინექციო დოზა შეადგენს 0,5 მლ-ს.

ინექციის ადგილი

აცრა კეთდება კუნთში:

- 2 წლამდე ასაკის ბავშვებში - ბარძაყის გარეთა ანტეროლატერალურ ზედაპირზე;
- უფროს ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებში - დელტისებული კუნთის ზედა მესამედში;

პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინის უსაფრთხოება და იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები

პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინა უსაფრთხოა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. ვაქცინით გამოწვეული მძიმე გვერდით მოვლენები ძალზედ იშვიათია. მსუბუქი გვერდითი მოვლენები, როგორიცაა რეაქციები ინექციის ადგილზე აღინიშნება ვაქცინირებულების 10% -ში. ცხელება ვლინდება 1%-ზე ნაკლებ ვაქცინირებულში.

უკუჩვენება:

- მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე.

გაფრთხილება:

- საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება ტემპერატურით ან მის გარეშე – ვაქცინაცია უნდა გადაიდოს გამოჯანმრთელებამდე.

შენახვის პირობები

ვაქცინა ინახება +2^{0}C - +8^{0}C ტემპერატურაზე.

წყაროები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. იმუნიზაცია პრაქტიკაში: პრაქტიკული იმუნიზაციის სახელმძღვანელო სამედიცინო პერსონალისთვის

https://www.who.int/publications/i/item/immunization-in-practice-a-practical-guide-for-health-staff

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-51/ნ

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4869455?publication=0

მასალა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.